# ჯვარედინი



1. მოდავე მხარეთა ერთგვარი შეთანხმება. 2. საქართველოს ტელევიზიის ადმინისტრაციული ლიდერი ახლო წარსულში. 3. ქალაქი აშშ-ში, ტეხასის შტატში. 4. მსახიობის მოწვევა ამა თუ იმ დროით. 5. ასოთა თანამიმდევრობაზე აგებული ლიტერატურული ჟანრი. 6.ამურის „თანაშემწე" ყვავილი. 7. „ვეფხისტყაოსნის" რუსულ ენაზე ერთ-ერთი მთარგმნელთაგანი. 8. „ბალი" - ძვ. ქართულად. 9. იპოლიტ მატვეევიჩი, მეტსახელად კისა... „თორმეტი სკამიდან". 10. ქათმის ნაწილი. 11. კომუნისტობისას კარგი წიგნის შეძენის ერთ-ერთი საშუალება. 12. ძველი სპარსეთის დიდი მეფე 13. რუსული ესტრადის „კაბრიოლეტიანი" მომღერალი. 14. რა შეიქმნა ჩვ.წ.აღ.-მდე 510 წელს ძველ რომში? 16. ქართველი მსახიობი კინომსახიობთა თეატრიდან. 17. „ნარინის" ბიძაშვილი. 18. ევროპის რიგ სახელმწიფოებში სამართალდამცავი პირი. 19. სახელი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კინოკომიკოსისა. 20. მთათა სისტემა ევროპაში 21. საერთაშორისო ხელოვნური ენა. 22. კანის ქრონიკული არაგადამდები დაავადება. 23. რა არის ინტერნეტი თავისი არსით? 24. ფრანგი პოეტი-რომანტიკოსი. 25. დიდი ავსტრიელი კომპოზიტორი. 26. არჩილ გომიაშვილის ცნობილი კინოპერსონაჟის გვარი. 27. ილია ჭავჭავაძის ლექსი. 28. პროვინციელის ერთ-ერთი დამამცირებელი წოდებულებათაგანი. 29. ცნობილი თბილისელი დირიჟორი. 30. ბელგიელი მხატვარი, სიურრეალიზმის წარმომადგენლი. 31. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება. 32. მავანი შიკლჰრუბერის სახელი. 33. ასე ვთქვათ, ოხშივარის საწინააღმდეგო საშუალება. 34. სრულიად ევროპის ფულის ერთეული. 35. თვალჩაუწვდენელი ნაპრალი. 36. ლესოთოც და ვატიკანიც. 37. რისიმე ერთი ფორმის სხვა ფორმად გადაქცევა. 38. დიდი საჯარისო შენაერთი. 39. „რუსთავი 2"-ის პოპულარული ტელეგადაცემა. 40. გვარი, რომელიც სამუდამოდ დაუკავშირდა რუსთაველის პროსპექტის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწილს. 41. რისამე შესახებ არსებულ მონაცემთა კრებული. 42. კაცი, რომელიც საკუთარმა ძმამ ვირის ყბით მოკლა. 43. თომას მანის რომანი. 44. მავანი კაზბიჩის ცხენი ლერმონტოვის ცნობილი მოთხრობიდან. 45. იაპონელი დრამატურგი, ავტორი პიესისა „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე". 46. თენგიზ აბულაძის ცნობილი ფილმის მთავარი პერსონაჟის გვარი. 47. სირანო დე ბერჟერაკის სატრფო. 48. ზღაპრული გოლიათი. 49. XVII ს საქართველოში დიდი აჯანყების ადგილი. 50. ერთ-ერთი ანტიბიოტიკური მედიკამენტი. 51. სოფელი სიღნაღის რაიონში. 52. აღორძინების ეპოქის იტალიელი მწერალი-ნოველისტი. 53. ფრანგი კინომსახიობი ქალი. 54. 1894 წ წყნარი ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე გარდაცვლილი ინგლისელი მწერალი. 55. უნგრეთის ფულის ერთეული. 56. ოლქი იტალიაში. 57 რაჭის სიამაყე. 58. კომპოზიტორი ფილმისა „რომეო და ჯულიეტა" 59. მოძღვრება ადამიანის მოდგმის, მისი მემკვიდრული ბუნების გაუმჯობესების და სრულყოფის შესახებ. 60. ქართველ ლეიბორისტთა ლიდერი. 61. ავტომობილის ძარის სახესხვაობა. 62. რუსი პოეტესა ქალი. 63. რძეში მოხარშული ცომი. 64. ორიონის „შეთავსებითი" პროფესია ძვ.ბერძნულ მითოლოგიაში. 65. სიძულვილი საწყის ეტაპზე. 66. მოსკოვის წითელ მოედანზე არსებული ტაძრის „ნათლიის" რელიგიური ზედწოდება. 67. დასახლებული პუნქტის ნაწილი. 68. მავანი პერესი ისრაელის პოლიტიკიდან. 69. თანამედროვე ქართველ კომუნისტთა ლიდერის სახელი. 70. ძვ.ბერძენ მოქალაქეთა თავშეყრის ადგილი. 71. სამხრ. ამერიკის უძველესი ტომი. 72. კინოფილმ „რეკორდის" პერსონაჟი ქალი. 73. ინგლისელი მწერალი, ავტორი რომანისა „მთვარე და ექვსპენსიანი." 74 ასე ვთქვათ ზარალის ანაზღაურება. 75. ტბა იტალიის ალპებში. 7[illegible]. ლიტერატურულ ნაწარმოებთა ერთგვარი კრებული. 77. სამხედრო წოდება. 78. ძვირფასი თევზი. 79. ცურვის პეპელასებრი სტილი. 80. „კომედია დელ არტეს" პერსონაჟი. 81. შოტლანდიელი ეკონომისტი, ადამ... 82. მენდელეევის პერიოდული სისტემის რიგით 65-ე ელემენტი. 83. პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე. 84. შაბლონი ანუ? 85. კუნძულ ჰაიტის ძვ. სახელწოდება. 86. სიტყვა, რითაც მოიხსენიება მრავალი ევროპელი ყმაწვილი 7-დან 21 წლის ასაკამდე. 87. ერთ-ერთი დასავლელქართველი. 88. რუსეთის ისტორიის მეამბოხეგლეხი. 89. ერთ-ერთი კომუნისტური სიმბოლო. 90. (მისის) ფიტცჯერალდი... ჯაზის დედოფალი. 91. თანამედროვე ბიზნესმენის ძველთბილისელი წინაპარი. 92. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე, რომელიც შარლოტა კორდემ აბაზანაში მოკლა. 93. დასავლეთ სამოას დედაქალაქი. 94. ქართველი კინორეჟისორი, შემქმნელი ფილმისა „ჯიმ შვანთე" (სვანეთის მარილი). 95. ძლიერი მომწამლავი ნივთიერაბა. 96. ავტორი რომანისა „ალისფერი აფერები". 97. მიკროორგანიზმების წმინდა კულტურა.

შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა

**ამა** - სრული სახე ჩვენებ. ნაცვალსახელისა ამ.
**ამაგასაკი** - ქალაქი-პორტი იაპონიაში, კუნძულ ჰონსიუზე.
**ამაგი** - ვინმეზე გაწეული შრომა.
**ამაგდარი** - იგივე მოამაგე.
**ამადუ** ჟორჟი - XX ს ბრაზილიელი მწერალი.
**ამავე** - აგრეთვე ამ... სწორედ ამ...
**ამაზასპი** - 1) ქართლის მეფე II ს-ში. 2) ქართლის მეფე III ს-ში
**ამაზონასი** - შტატი ჩრდ.-დას ბრაზილიაში.
**ამაზონი** - მდინარე სამხრ. ამერიკაში; წყლიანობისა და აუზის ფართობის მიხედვით - უდიდესია მსოფლიოში; სიგრძე - 6400 კმ.
**ამაზონიტი** - მინერალი; მიკროკლინის მოცისფრო-მწვანე ნაირსახეობა.
**ამაზრზენი** - შემზარავი, საზიზღარი.
**ამალა** - მაღალი თანამდებობის პირის მხლებლები.
**ამალასუნთა** - ოსტგუთების სამეფოს გამგებელი 526-534; მეფე თეოდორიხის ასული.
**ამალგამა** - შენადნობი, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია ვერცხლისწყალი.
**ამალგამაცია** - 1) მეტალურგიაში - დაქუცმაცებული მადნებიდან ან ქვიშიდან ლითონთა ამოკრეფა ვერცხლისწყლის საშუალებით. 2) ეკონომიკაში - სამრეწველო ან საბანკო კომპანიების შერწყმა.
**ამალდი** ედოარდო - XX ს იტალიელი ფიზიკოსი.
**ამალთეა** - 1) ზევსის მაწოვარა მითოლოგიური თხა; 2) იუპიტერის თანამგზავრი.
**ამალი** - მდინარე ყაზბეგის რ, თერგის მარცხ. შენაკადი.
**ამალი** - ანაზღად შიმშილით მიბნედა (საბა)
**ამალფი** - ქალაქი სამხრ. იტალიაში.
**ამამლო** - სოფელი დმანისის რ
**ამანათი** - საფოსტო გზავნილი.
**ამანათრბენი** - იგივე ესტაფეტა სპორტში.
**ამანატი** ბარტოლომეო - XVI ს იტალიელი არქიტექტორი და მოქანდაკე.
**ამანაუზი** - მწვერვალები და უღელტეხილი კავკასიონზე.
**ამანელისძენი** - XII-XIII სს საქ. დიდგვარიანი ფეოდალები, არგვეთის ერისთავები.
**ამანი** თეოდორ - XIX ს რუმინელი ფერმწერი.
**ამანი** - იორდანიის დედაქალაქი.
**ამანჟოლოვი** ყასიმ - XX ს ყაზახი პოეტი.
**ამანულა-ხანი** - ავღანეთის მეფე 1926-29 წწ.
**ამანუსი** - ქედი თურქეთში.
**ამაო** - ფუჭი, უნაყოფო, უშედეგო.
**ამაოება** - უმიზნობა, უაზრობა.
**ამაპა** - ადმ. ერთეული ჩრდ. ბრაზილიაში.
**ამარა** - ნათ.ბრუნვის ცალკე მდგომი თანდებული.
**ამარა** - ქალაქი სამხრ.-აღმ. ერაყში.
**ამარავატი** - ქალაქი ცენტრ. ინდოეთში.
**ამარათდერე** - მდინარე ახალციხის რ
**ამარაპურა** - ქალაქი მიანმაში (ბირმაში).
**ამართული** - მთა დედოფლისწყაროს რ
**ამარი** მიკელი - XIX ს იტალ. ისტორიკოსი და პოლიტ. მოღვაწე.
**ამარილისი** - ბოლქვიანი ბალახოვანი მცენარეების გვარი.
**ამარილო** - ქალაქი აშშ-ში (ტეხასის შტატი).
**ამარტა** - მძივია ქვათა (საბა).
**ამარტი** - ერთგვარი ძვირფასი ქვა, იასპი, ეშმი.
**ამარტოლი** - შუა სს ბერმონაზვნების ზედსახელი.
**ამარუ** - VIII ს ინდოელი ლირიკოსი პოეტი.
**ამასია** - ქალაქი ჩრდ. თურქეთში.
**ამასისი** - ეგვიპტის ფარაონის სახელის - იაჰმესის ბერძნ. ფორმა.
**ამატები** - ხემიანი საკრავების იტალიელ ოსტატთა ოჯახი.
**ამატერასუ** - მზის განმასახიერებელი უმაღლესი ღვთაება იაპონურ მითოლოგიაში.
**ამაღამ** - ამ ღამეს.
**ამაღლება** - ქრისტიანული დღესასწაული აღდგომის მე-40 დღეს.
**ამაღლება** - სოფელი ვანის რ, მთა ახალციხის რ
**ამაღლობელი** ნოდარ - თბილისის სახ. უნივერსიტეტის რექტორი 90-იან წლებში.
**ამაყი** - საკუთარი ღირსების გრძნობით განმსჭვალული.
**ამაშუკეთი** - ხარაგაულის რ სოფ. ციხისძირის ძვ. სახელი.
**ამაშუკელი** ელგუჯა - ქართველი მოქანდაკე.
**ამაშუკელი** ვასილ - პირველი ქართველი კინოდოკუმენტალისტი.
**ამაძონები** - მითიური მებრძოლი ქალები.
**ამაწურასგუ** - ყმა გლეხების მცირერიცხოვანი ზედაფენა გვიანდ. ფეოდ. აფხაზეთში.
**ამბა** - მონასტრის წინამძღვრის ქართ. სახელწოდება.
**ამბავი** - ვისიმე თავგადასავალი.
**ამბაზუკი** - კასპიის (დარიალის) კარის მფლობელი (V ს.)
**ამბალა** - ქალაქი ინდოეთში.
**ამბალაჟი** - შესაფუთავი მასალა, შეფუთვის ხარჯი.
**ამბარა** - სოფელი და მდინარე გუდაუთის რ
**ამბართაფა** - სოფელი გარდაბნის რ
**ამბარი** - ცვილისებრი სურნელოვანი ნივთიერება, წარმოიქმნება კაშალოტის საჭმლის მომნელებელ ტრაქტში.
**ამბარი** - დიდი ტევადობის სათავსი ხორბლეულისათვის.
**ამბარისი** - თაბალების ერთ-ერთი გაერთიანების მეფე (ძვ.წ.VIII ს).
**ამბარიხუნა** - სოფელი სოხუმის რ
**ამბაროვკა** - სოფელი მარნეულის რ
**ამბარცუმიანი** ვიქტორ - ცნობილი ასტროფიზიკოსი, დაიბადა თბილისში.
**ამბატო** - ქალაქი ეკვადორში.
**ამბახი** - მთა ხონის რ
**ამბერსაძე** ნიკოლოზ - XVIII-XIX ს რუსეთის არმიის გენ.-ლეიტენანტი.
**ამბივალენტობა** - ემოციური განწყობა, რომლის დროსაც საწინააღმდეგო გრძნობათა ერთად განცდა ხდება.
**ამბიონი** - ეკლესიაში ამაღლებული ადგილი.
**ამბისტომა** - კუდიანი ამფიბიების გვარი.
**ამბიცია** - პატივმოყვარეობა, ამპარტავნობა.
**ამბლიოპია** - მხედველობის დაქვეითება.
**ამბოკარი** - უმამულო, უსახლკარო.
**ამბოლი** - უკანა უღლეული (საბა)
**ამბონელები** - მოლუკის კუნძულების მკვიდრნი (ინდონეზია).
**ამბონი** - ქალაქი-პორტი ინდონეზიაში.
**ამბორი** - იგივე კოცნა.
**ამბოცეპტორი** - დამცავი ნივთიერება, რომელიც ჩნდება სისხლის შრატში მიკრობებით იმუნიზაციის დროს.
**ამბოხება** - სტიქიური აჯანყება.
**ამბრავი** - ფინიკის გერკი (საბა).
**ამბრაზურა** - თავდაცვის ნაგებობასა და ჯავშნიან კოშკებში დატანებული სარკმელი.
**ამბრაკიკოსი** - იონიის ზღვის ყურე, საბერძნეთი.
**ამბრეთი** - სოფელი ზნაურის რ
**ამბროზია** - ერთწლოვან და მრავალწლოვან მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა.
**ამბროლაური** - ქალაქი რაჭაში, რაიცენტრი.
**ამბროსი** - საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1921-27 წწ.
**ამბროსია** - უკვდავებისა და მარადიული სიჭაბუკის მიმნიჭებელი „ღმერთების საზრდო“ ძვ. ბერძ. მითოლოგიაში.
**ამბულატორია** - სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება.
**ამბუშური** - ჩასაბერი მუსიკალური საკრავის ნაწილი, იგივე მუნდშტუკი.
**ამგალი** - სამწყსო მეზობლად მდგარი (საბა).
**ამგვარი** - ამისთანა
**ამგუემა** - მდინარე ჩუკოტკაში.
**ამგუნი** - მდინარე რუსეთში, ხაბაროვსკის მხარეში.
**ამება** - უმარტივესი ერთუჯრედიანი ცხოველი.
**ამებიაზი** - მსხვილი ნაწლავებისა და ზოგი შინაგანი ორგანოს დაავადება.
**ამებოციტები** - უხერხემლოთა სისხლის უფერული უჯრედები.
**ამეთვისტო** - მინერალი. კვარცის გამჭვირვალე იისფერი სახესხვაობა.
**ამელი** - მთა დუშეთის რაიონში.
**ამელიორაცია** - გაუმჯობესება, მოწესრიგება.
**ამენგეროზა** - ყაზახების საქორწინო ჩვეულება, რომლის დროსაც დაქვრივებული ქალი უნდა მისთხოვებოდა მაზლს.
**ამენდოლა** ჯოვანი - XIX-XX სს იტალ. პოლიტ. მოღვაწე და პუბლიცისტი.
**ამენემჰეტი** - ეგვიპტის შუა სამეფოს (ძვ.წ 2000-1700) დროინდელი XII დინასტიის რამოდენიმე ფარაონი.
**ამენორეა** - თვიურის უქონლობა.
**ამენოფისი** - ეგვიპტის ფარაონთა სახელის - ამენჰოტეპის ბერძნ. სახელი.
**ამენსალიზმი** - სხვადასხვა სახეობის ორგანიზმთა ურთიერთდამოკიდებულება - ერთისთვის სასარგებლო, მეორისთვის საზიანო.
**ამენჰოტეპი** - ეგვიპტის ახალი სამეფოს (ძვ.წ. 1580-1100) XVIII დინასტიის ფარაონების სახელი.
**ამერიკა** - ქვეყნის ნაწილი დას. ნახევარსფეროში, მოიცავს ორ კონტინენტს - ჩრდ. და სამხრ. ამერიკას.
**ამერიკელები** - ერი, აშშ-ს მოსახლეობის ძირითადი ნაწილი.
**ამერინდები** - ამერ. კონტნენტის აბორიგენების - ინდიელების, ესკიმოსების და ალეუტების - გამაერთიანებელი პირობითი სახელი.
**ამერიციუმი** - ხელოვნურად მიღებული რადიოაქტიური ქიმ. ელემენტი.
**ამერსფორტი** - ქალაქი ნიდერლანდში.
**ამვროსიევკა** - ქალაქი უკრაინაში, დონეცკის ოლქში.
**ამზარა** - სოფელი გულრიფშის რ, სოფელი სოხუმის რ
**ამზიჩხვა** - მდინარე გაგრაში.
**ამთავითვე** - თავიდანვე, დასაწყისიდანვე.

(1949)

**მცირე განმარტება:**

როგორც ხედვათ, საკროსვორდო ენციკლოპდიის სიტყვათა რაოდენობამ თითქმის 2000 ერთეულს მიაღწია. ჩვენი ადრინდელი ვარაუდით ენციკლოპედიის სიტყვათა საერთო მარაგი დაახლოებით 50 000 ერთეულისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი, მაგრამ როგორც ახლა ირკვევა, ამ რაოდენობამ შეიძლება 60 000-ს გადააჭარბობს. რა თქმა უნდა, ძნელია იმის პროგნოზირება, რომ საგაზეთო პირობებში შესაძლებელი იქნება მთელი ამ მასალის ჩატევა, მაგრამ ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ „ფანტაზია“ ზუსტად იმდენ ხანს მაინც იარსებებს, რა დროც ამ ენციკლოპედიის გამოქვეყნებას დასჭირდება.

...და მაინც, საქმის დაჩქარების მიზნით, სექტემბრიდან, როცა ჩვენი გაზეთი 24-გვერდიანი გახდება, საკროსვორდო ენციკლოპედიას ბევრად მეტი ადგილი დაეთმობა; გარდა ამისა, აგვისტოდან, ალბათ, ამ ენციკლოპედიის გარკვეულ ნაწილს გამოვაქვეყნებთ აგრეთვე „ფანტაზიის“ სამშაბათის გამოშვებაში („სკანდინავიურ კროსვორდებში“), რაც კიდევ უფრო დააჩქარებს საქმის ბოლომდე მიყვანას და საერთო ჯამში, კვირაში შესაძლებელი იქნება, ახლანდელი 100-ოდე სიტყვის ნაცვლად, 350-400 სიტყვის გამოქვეყნება.

ვნახოთ!

# მეგობრობა

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | რ | ე | უ | ჯ | ა | ე | ბ | ა | ო | რ | ბ | ე | ლ |
| მ | კ | ლ | გ | რ | ე | ლ | ლ | ი | ზ | მ | ი | ა | ი |
| ე | ი | ო | დ | თ | გ | უ | ა | ნ | დ | ი | ი | ნ | ი |
| რ | ი | ს | უ | ტ | ქ | ა | ნ | ე | რ | ფ | რ | ა | ბ |
| ს | ს | ტ | ს | ა | უ | კ | ო | ი | ც | ი | ე | ძ | ო |
| ო | რ | ი | ი | ვ | ნ | დ | ო | ბ | ა | ო | ი | ა | გ |
| ლ | ე | ლ | ა | თ | ა | ნ | დ | ლ | ნ | ბ | ნ | ბ | ე |
| ი | დ | ა | რ | ო | ძ | ა | ი | ო | რ | ე | ტ | ა | მ |
| ი | ც | ი | ა | ბ | მ | ს | ლ | ბ | ო | ლ | ე | რ | ა |
| ა | დ | ფ | ა | ნ | ო | ძ | ი | ა | დ | ე | თ | ი | ხ |
| ქ | ა | ლ | ი | დ | ა | მ | მ | ო | ნ | გ | ო | რ | ი |



1.გერმანელი მწერალი, ავტორი რომანისა „სამი მეგობარი“.

2. ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი ქართულ მხატვრულ ფილმში - „ჩემი მეგობარი ნოდარი“.

3. თუ გინახავთ ფილმი „ლეო კილერი“, ალბათ, გეხსომებათ ის, რაც აღნიშნული კილერის ერთადერთი მეგობარი იყო.

4. სახელმწიფო აზიაში, რომელიც საბჭოთა კავშირის „ყურმოჭრილ“ მეგობრად ითვლებოდა.

5. მეგობარი - ძველთბილისურად.

6. სიტყვა, რომელიც ახლა აქტიურად ენაცვლება ცნებას - „სამეგობრო“.

7. ზნეობრივი უკეთურება, რაც მეგობრობისათვის საერთოდ მიუღებელია.

8. „თუ ჩახედვა მეგობარს თვალებში“, რა დაგხვდება იქ, ძველი რუსთაველი მეტალურგების აზრით?

9. ჩვენი ლიტერატურის პროზაული ნაწარმოები, რომელიც მთლიანად მეგობრობის სულისკვეთებაზეა აგებული.

10. ქალი მეგობარი ქალისთვის XX საუკუნეში შემოღებული ცნების თანახმად.

11. უცხოეთიდან ჯერ შემოპარული ცნება მეგობარი ყმაწვილისა... გოგონებისათვის.

12. მეგობრების ყველაზე ცხადი და აშკარა სიმბოლო ქართულ ლიტერატურაში.

13. კაცი, რომელმაც დიდი მეგობრობა აღმოუჩინა ტყვეობიდან გაქცეულ დავით გურამიშვილს... კინემატოგრაფისტთა აზრით.

14. საერთაშორისო მეგობრობის სახესხვაობა, რომლის მებაირახტრედაც საბჭოთა კავშირი ითვლებოდა.

15. საერთაშორისო ცნება, რომელიც 1 მაიის აღლუმზე გამოსულ „მეგობრებს“ აერთიანებდა მთელ მსოფლიოში.

16. გვარი ქალბატონისა, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთადერთ მეგობრად ითვლებოდა.

17. სისხლით დაკავშირებული მეგობარი ჩვენი მთიელების ყოფაცხოვრებიდან.

18. ზნეობრივი ცნება, რომელიც მთავარი და განმსაზღვრელი რამ არის სამეგობრო ურთიერთობებისათვის.

19. მაშ, ვინ იყო ჩვენი დღევანდელი კროსვორდის მთავარი „პერსონაჟი“?

## ანონსი

**აგვისტოდან დავწყებთ ჩვენი თანამედროვეობის ამსახველი დიდი პროზაული ნაწარმოების ბეჭდვას (გაგრძელებებით), სადაც შევეცდებით ამ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ჩვენს თავს გადამხდარი ამბებისა და მოვლენების გაშუქებას.**

# კალენდარი

## 14 ივლისი

საფრანგეთის ეროვნული დღე

**ამ დღეს დაიბადნენ:** **1486** წ - *ანდრეა დელ სარტო* - აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; **1602** წ - *ჯულიო მაზარინი* - კარდინალი, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი. **1811** წ - *ჰარიეტ ბიჩერ-სტოუ* - ამერიკელი მწერალი ქალი, ავტორი რომანისა „ბიძია თომას ქოხი“. **1903** წ - *ირვინგ სტოუნი* - ამერიკელი მწერალი, ავტორი ბიოგრაფიული რომანებისა ვან გოგის, ჯეკ ლონდონის, ზიგმუნდ ფრეიდის და სხვათა შესახებ. **1904** წ - *ლუდმილა რუდენკო* - მოჭადრაკე, მსოფლიოს ჩემპიონი 1950, 1953 წლებში. **1913** წ - *ჯერალდ რუდოლფ ფორდი* - აშშ-ს 38-ე პრეზიდენტი. **1918** წ - *ინგმარ ბერგმანი* - ცნობილი შვედი კინორეჟისორი. **1919** წ - *ლინო ვენტურა* - ფრანგი კინომსახიობი. **1928** წ - *ნოდარ დუმბაძე* - ქართველი მწერალი. **1939** წ *კარელ გოტი* - ჩეხი მომღერალი.

**მოვლენები:** **1099** წ - ლოტარინგიის ჰერცოგის გოტფრიდ ბულონელის მეთაურობით პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილენი შტურმით იღებენ იერუსალიმს. **1776** წ - ინგლისელი ზღვაოსანის, ჯეიმს კუკის მესამე მოგზაურობის დასაწყისი დედამიწის გარშემო. **1789** წ - ბასტილიის აღება; იწყება ამ ციხე-სიმაგრის, როგორც ტირანიის სიმბოლოს, განადგურება. **1800** წ - ნაპოლეონი გამანადგურებელ მარცხს აგემებს ავსტრიის ჯარს. **1845** წ - ნიუ-იორკის დიდი ხანძარი. **1867** წ - ალფერდ ნობელი აწყობს პირველი დინამიტის მოქმედების დემონსტრირებას. **1916** წ - ტრისტან ტცარა ციურიხში აქვეყნებს დადაისტების მანიფესტს. **1933** წ - ნაცისტები გერმანიაში კრძალავენ ყველა პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობას, გარდა თავისი პარტიისა. **1934** წ - ეკრანებზე გამოდის ჰემინგუეის რომანის ეკრანიზაცია „ვის უხმობს ზარი“ ინგრიდ ბერგმანის და გარი კუპერის მონაწილეობით. **1967** წ - დიდ ბრიტანეთში ხდება აბორტების ლეგალიზაცია. **1969** წ - სალვადორსა და ჰონდურასს შორის იწყება „საფეხბურთო ომი“, რაც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის უკმაყოფილების შედეგს წარმოადგენს.

**ამ დღეს ნავიდნენ:** **1817** წ - *ანა ლუიზა ჟერმენა დე სტალი*. **1910** წ - *მარიუს პეტიპა* - ფრანგული წარმოშობის დიდი რუსი ბალეტმეისტერი. **1922** წ - *კამო* (სიმონ ტერ-პეტროსიანი) - რევოლუციონერი-ექსპროპრიატორი.

## 15 ივლისი

**ამ დღეს დაიბადნენ:** **1606** წ - *ჰარმენს ვან რეინ რემბრანდტი* - ჰოლანდიელი მხატვარი. **1853** წ - *მარია ერმოლოვა* - დიდი რუსი მსახიობი ქალი. **1893** წ - *უილიამ დიტერლე* - გერმანელ-ამერიკელი კინორეჟისორი. **1901** წ - *აბანიანო* - იტალიელი ფილოსოფოსი-იდეალისტი. **1919** წ - *აირის მერდოკი* - ინგლისელი მწერალი ქალი. **1924** წ - *მახმუდ ესამბაევი* - მოცეკვავე. **1950** წ - *ჯესი ვენტურა* - ამერიკელი კინომსახიობი. **1962** წ - *ბრიჯიტ ნილსენი* - დანიელი მოდელი, კინომსახიობი, სილვესტერ სტალონეს ყოფილი ცოლი.

**მოვლენები:** **622** წ - ჰიჯრის ტრადიციული თარიღი; ამ დღეს მუჰამედი მექადან მედინაში გადასახლდა. **1099** წ - სისხლიანი დღე იერუსალიმში; ჯვაროსნები ახორციელებენ მასობრივ ხოცვა-ჟლეტას. **1669** წ - მთავრდება ვულკან ეტნას ყველაზე ხანგრძლივი - 4 თვიანი ამოფრქვევა, რომლის დროსაც 830 მილიონი კუბური მეტრი ლავა ამოიფრქვა. **1776** წ - იხსნება თეატრი „ლა სკალა“. **1795** წ - საფრანგეთი იძენს ეროვნულ ჰიმნს „მარსელიეზას“, რომელიც დღემდე მოქმედებს. **1815** წ - წმინდა ელენეს კუნძულზე ჩადის დაპატიმრებული ნაპოლეონი. **1923** წ - სსრკ-ში ცხადდება სახელმწიფო ავიაკომპანია „აეროფლოტის“ შექმნა. **1937** წ - გაიხსნა ბუჰენვალდის საკონცენტრაციო ბანაკი. **1953** წ - აშშ-ს ეკრანებზე გამოდის ფილმი „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“. **1965** წ - აშშ-ს კონგრესი იღებს კანონს, რომლის თანახმადაც სიგარეტის მწარმოებელნი ვალდებულნი ხდებიან სიგარეტზე ჯანმრთელობის შესახებ გამაფრთხილებელი წარწერა გააკეთონ. **1988** წ - სსრკ-ს ისტორიაში პირველად ხდება მთავრობის სხდომის საჯარო ტელეტრანსლიაცია.

**ამ დღეს ნავიდნენ:** **1274** წ - *ბონავენტურა* - იტალიელი ალქიმიკოსი, რომელმაც პირველმა შეძლო ოქროს გახსნა წყალში. **1798** წ - *გაეტანო პუნიანი* - იტალიელი მევიოლინე, დირიჟორი, კომპოზიტორი.. **1890** წ - *გოტფრიდ კელერი* - შვეიცარელი მწერალი. **1904** წ - *ანტონ ჩეხოვი* - დიდი რუსი მწერალი. **1940** წ - *რობერტ პერშინგ უოდლოუ* - ჩვენი პლანეტის ყველაზე მაღალი ადამიანი; სიკვდილის წინ მისი სიმაღლე 272 სანტიმეტრს შეადგენდა და კვლავაც განიცდიდა მატებას. **1954** წ - *სადრიდინ აინი* - ტაჯიკი მწერალი. **1997** წ - *ჯანი ვერსაჩე* - იტალიელი მოდელიორი; საკუთარი კარის ზღურბლზე, მოკლა ენდრიუ კიუნანენმა.

## 16 ივლისი

**ამ დღეს დაიბადნენ:** **1858** წ - *ეჟენ იზაი* - გენიალური ბელგიელი, მევიოლინე, კომპოზიტორი. **1872** წ - *რუალ ამუნდსენი* - ნორვეგიელი პოლარული მკვლევარი. **1953** წ - *მიკი რურკი* - ამერიკელი კინომსახიობი. **1964** წ - *მიგელ ინდურაინი* - ესპანელი ველომრბოლელი, „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის გამარჯვებული. **1968** წ - *ლეონიდ აგუტინი* - რუსული ესტრადის მომღერალი.

**მოვლენები:** **1439** წ - ინგლისში იკრძალება კოცნა შავი ჭირის ეპიდემიის გამო. **1782** წ - ვენაში იმართება მოცარტის ოპერა „სერალიდან გატაცების“ პრემიერა. **1918** წ - ეკატერინებურგში ხვრეტენ რუსეთის უკანასკნელ იმპერატორ ნიკოლოზ II-ს. **1945** წ - ალამაგორდოში (აშშ), დილის 5 სთ 30 წთ-ზე ცდიან პირველ ატომურ ბომბს. **1950** წ - ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს ბრაზილიასა და ურუგვაის შორის სტადიონ „მარაკანაზე“ 199 854 მაყურებელი ესწრება, რაც დღემდე მიუღწეველი შედეგია.

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)



| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**01–50 ქულა** — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!
**51–100 ქულა** — მე-2 თანრიგი
**101–140 ქულა** — 1-ლი თანრიგი
**141–180 ქულა** — ოსტატი
**181–200 ქულა** — დიდოსტატი
**201–208 ქულა** — ბრავო, მაესტრო!
**210 ქულა** — ეს კროსვორდი თქვენ ხომ არ შეადგინეთ?!

1. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოების სახესხვაობა (**4**). 2. თითოეული წარმომადგენელი იმ დინასტიისა, რომელნიც ძველ სპარსეთს ედგნენ სათავეში (**8**). 3. ერთგვარი საგანგებო-საზეიმო სამოსი მამაკაცისა (**5**). 4. მშობლიური სოფელი ბატონი რევაზ ინანიშვილისა (**8**) 5. იტალიელი ფეხბურთელი, რომლის სინდისზეა ამასწინანდელი ევროპის ჩემპიონატის პირველი გოლი იტალიის ნაკრების კარში (**7**). 6. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობი თანამედროვე ჰოლივუდისა (**4**). 7. სინათლის სხივის გარდატეხა-გაჭოლვისას წარმოქმნილი ზოლი (**5**). 8. ის, ვისაც 25-30 წლის წინანდელ საბჭოეთში „ალო“-ს ძახილით დაეძებდნენ ტელევიზიაში (**6**). 9. რა არის ამორტიზაცია თავისი არსით? (**5**) 10. ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ანტონ ჩეხოვის პიესისა „თოლია“ (**7**). 11. თანამედროვე რუსული პოლიტიკის ერთ-ერთი ლიდერი, თბილისის საპატიო მოქალაქე (**4**). 12. დანაშაული ანუ რა? (**4**) 13. ფსევდონიმური „სტატუსი“ კაცისა, რომელიც 12 წელი „პოლშის ციხემ მალაო“ (**3**). 14. ჩვენებური ტოპონიმი, რომელსაც უკავშირდება „ტაძარიც“ და „ღვინოც“ (**3**). 15. უძველესი სამცხე-ჯავახეთის თავადური დინასტიის გვარ-წოდება (**4**). 16. თივის კონფიგურაციული სახესხვაობა (**2**). 17. გულუბრყვილო ქალის როლის შემსრულებელი მსახიობის ამპლუა (**10**). 18. 1990 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი. (**8**). 19. ქალაქი სამხრეთ იტალიაში (**8**). 20. მიმდევარი იმ პოლიტ. მიმდინარეობისა, რომელიც ეკლესიის გავლენის გაძლიერებას ცდილობს სახელმწიფოს კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში (**9**). 21. საფრენი აპარატების სპეციალური მოწყობილობა (**4**). 22. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დეტექტივი მსოფლიო ლიტერატურისა (**5**). 23. რა ერქვა ქალბატონს, რომელიც მღეროდა - „ქარი კვლავ არხევს, ნაცნობ ლელიანს“-ო? (**5**). 24. ზრდადასრულებული ქალების გასალამაზებელი საშუალება (**3**). 25. მხედველობითი ნაკლის მქონე პიროვნება (**1**). 26. ვენური სისხლის შეგუბება (**9**). 27. რა ჰქვია კიევის აეროპორტს? (**7**). 28. ძალზედ მცირე წონის ანუ როგორი? (**2**). 29. შესანიშავი ქართველი მოცეკვავე ქალბატონი (.......) ფოჩიანი (**4**). 30. ვედიზმის მიხედვით: ჭექა-ქუხილისა და ქარიშხლის ღმერთი (**10**). 31. ნიუ-იორკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქუჩა (**5**). 32. ქართული ჭიდაობის ილეთი (**2**). 33. კაცი, რომლის სახელსაც ქალაქ ტროას აღმოჩენა უკავშირდება (**5**). 34. გულისათვის დამახასიათებელი ქმედება (**1**). 35. „ბითლზის“ ანსამბლის ერთ-ერთი წევრი (**5**). 36. დასახლება სოხუმის მახობლად, ერთდროს ფეხბურთელთა გამოსაზამთრებელი ადგილი (**3**). 37. მუსიკალური ნაწარმოების სანოტო ჩანაწერი (**5**). 38. რა ჰქვია ყოველ მიმდევარს იმ რელიგიისაას, რომელიც თითქმის მთელ ინდოეთში დომინირებს? (**7**). 39. ასე ვთქვათ, საბირჟო აღებ-მიცემობა თუ გაცვლა-გამოცვლაში აქტიურად ჩართული საქმოსანი (**5**). 40. ყვავილი, რომლის „ველურობითაც“ ერთი ცნობილი ვიდეოფილმის შემქმნელნი დაინტერესდნენ (**7**).

**თარაზულად:** **1**. დაფნა დიუ-მარიეს ბესტსელერი და ალფრედ ჰიჩკოკის ფილმი. **4**. როგორი შეიძლება არსებობდეს სიცილი? **9**. რა ჰქვია ნიაზოვს, თურქმენეთის პრეზიდენტს? **17**. ორიონის თანავარსკვლავედის ყველაზე დიდი ვარსკვლავი. **18**. ფარულად დაკვირვების ფორმა. **19**. მისტიკურ-ეზოთერული შოუ სულების გამოძახებით. **22**. რაიმეს მცირე ნარჩენი. **23**. მთავარი პერსონაჟი ონორე დე ბალზაკის მოთხრობისა „ათეისტის წირვა“. **24**. ელექტრო ნივთი, რომელიც, როგორც ამბობენ, ყველა ამერიკელს ჯიბით დააქვს. **28**. თანამედროვე რუსი მომღერალი, რომლის რეპერტუარშიც სამხედრო თემაზე შექმნილი სიმღერები ჭარბობს. **29**. მეცნიერება უჯრედის შესახებ. **30**. ფირმა „მარსი“-ს ერთ-ერთი ნაწარმი. **34**. ის არსებობს პულიტცერის, შულცის და ათასი სხვის, მაგრამ ყველაზე ცნობილი მაინც ნობელისაა...რა არის ეს? **35**. ლამაზი ქალის ერთ-ერთი მეტაფორა-ცხოველი აღმოსავლური ელფერის პოეზიაში. **36**. თანამედროვე კინოს „დესპერადო“ და „მეცამეტე მეომარი“. **37**. პირზე დასადები რამ. **42**. უშნო ცხვირის ერთ-ერთი ეპითეტი. **43**. რა გააჩნია კომპიუტერსაც და აკორდეონსაც? **44**. ქართული ტოპონიმი, რომელმაც სიტყვა „მასპინძელი“ შექმნა. **45**. რუსეთის ჩემპიონატში მონაწილე საფეხბურთო კლუბი. **50**. მზის ამოსვლის დრო. **51**. XX საუკუნის ცნობილი რუსი პიანისტი. **52**. 80-იანი წლების უძლიერესი შვედი ფეხბურთელი, ტომას... **53**. ქვეყანა, რომლის საფეხბურთო ეროვნულმა ნაკრებმაც ამ ბოლო დროს ყველა სკეპტიკოსი დაარწმუნა, რომ უძლიერესია პლანეტაზე. **57**. პერსონაჟი ფილმისა „**Some likes hot**“ (საბჭოეთში ამ ფილმს „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“ ერქვა). **58**. პერსონაჟი პუშკინის „**Капитанская дочка**“-სი. **59**. დიდი ზომის საათი. **60**. საქართველოს რაიონული ცენტრი. **65**. ქართული კინოს ერთ-ერთი პოპულარული ძაღლი. **66**. რაიმე სფეროში გამდიდრებული პირი. **67**. ო'ჰენრის ნამდვილი გვარი. **68**. სახელმწიფო კარიბის ზღვაში. **73**. ქართველი ჩოგბურთელი ქალი (სახელი და გვარი). **74**. ერთ-ერთი კინოშერეკილი. **75**. ასე ვთქვათ წამქეზებელი. **79**. ჰოლანდიური გულდენის სახელწოდება იტალიაში. **80**. ცნობილი ოდესელი იუმორისტი. **81**. სადაურია ერთ-ერთი ანბანი თოთხმეტს შორის? **82**. ქვევრიდან ღვინის ამოსაღები ჭურჭელი. **87**. მდინარე იტალიაში. **88**. სადაურია ვიშვანანტ ანანდი? **89**. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა. **90**. ანტონ ჩეხოვის მოთხრობა. **91**. ბაიყუშის გვერდებზე მზარდი მცენარე. **96**. მიჯრით ჩარჭობილი სარების ღობე. **97**. ქალაქი რუსეთში, ციმბირის კოლონიზაციის ცენტრი XVI საუკუნეში. **98**. გასეირნება ქალაქგარეთ. **99**. რაიმე მათემატიკური ოპერაციის განმეორებითი გამოყენება. **103**. ყველაზე დიდი უდავოდ ხეოფსის პირამიდაა... აქ ფარაონის სახელი ჩაწერეთ, რომლის პირამიდაც სიდიდით მეორე ადგილზეა. **104**. რა ემართებათ ტირილისა და სიცილის ზღვარზე მყოფ ქალებს? **105**. რუსი კინორეჟისორი. **110**. ტბა უნგრეთში. **111**. შრილანკას მეორე სახელწოდება. **112**. ნაპოლეონის მარშალი და სიძე. **113**. რა ჰქვია ქართველ პოლიტიკოსს, თევდორაძეს? **118**. ცნობილი ქართველი სპორტული ტელეკომენტატორი. **119**. რაიმეს განვითარების სრული პროცესი. **120**. ქალაქი ჩილეში. **124**. XX საუკუნის ტაჯიკი მწერალი. **125**. პატარა ისრიანი ღმერთი რომაულ მითოლოგიაში. **126**. იცით როგორ არის ფრანგულად სიტყვა „ხელი“? აქ ტანსაცმლის ნაწილი ჩაწერეთ, რომლის სახელწოდებაც ამ ფრანგულმა სიტყვამ შექმნა. **127**. უელსში მობინადრე ტომის წარმომადგენელი. **128**. არგენტინელი ლამაზმანი. **133**. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. **134**. რა ჰქვია ანა კარენინას ძმას ლევ ტოლსტოის რომანში? **135**. მესოპოტამიის ტერიტორიაზე არსებული უძველესი სახელმწიფო. **136**. დიდი ხასხასა ყვავილის მქონე ბალახოვანი დეკორატიული მცენარე. **140**. კარლო გოლდონის პიესების მთავარი პერსონაჟი. **141**. სახლის გადასახური მასალა. **142**. აქ ერთ-ერთი ევროპული სახელმწიფოს რუსული სახელწოდება ჩაწერეთ. **147**. იცით ვინ გამოიგონა კალათბურთი? ძალიან კარგი, მაშინ აქ ამ ამერიკელი გამომგონებლის გვარი ჩაწერეთ. **148**. დიდი რუსული მრგვალი პური. **149**. ესპანელ მონარქთა მემკვიდრე. **150**. ის, რის არსებობასაც ვერავინ ამჩნევს, თუმცა კი ყველას სჭირდება. **155**. ქალაქი რუსეთში. **156**. ვინმე კარაბეინიკოვის პროფესია ილფის და პეტროვის „12 სკამში“. **157**. ერთვაზნიანი შაშხანა, რომელიც იხმარებოდა XIX საუკუნის ბოლოს. **161**. ამ საგანს სწავლობენ სკოლაში დაწყებით კლასებში. **162**. ერთგვარი თავშეკავება. **163**. XIX საუკუნის ინგლისელი მწერალი, ედუარდ... მისი სახელობის პრემიაც კი არსებობს ლიტერატურაში. **164**. ებრაელის მოსახსენიებელი სიტყვა. **165**. საფოსტო მარკების შეგროვება. **166**. ყელზე ჩამოსაკიდი რამ. **167**. რეჟისორი ფილმისა „ირმებზე მონადირე“ (5 ოსკარი მიენიჭა 1978 წელს).

**შვეულად:** **1**. მესამე რაიხის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი. **2**. ერთგვარი სპორტული ინვენტარი, რომელიც ცირკშიც კი გამოიყენება. **3**. იცით რა არის კრემატორიუმი? მაშინ აქ იმ სათავსის სახელი ჩაწერეთ, სადაც ინახება კრემაციის შედეგად დარჩენილი ფერფლის ურნები. **5**. აქ იმის სახელი ჩაწერეთ, რითიც თბილისში თავს იწონებს „ლაგუნა ვერე“. **6**. რა აქვს შტეფან ცვაიგს „საჭადრაკო“?. **7**. XX საუკუნის ქართველი პოეტი. **8**. ბულგარეთის ფულის ერთეული. **10**. ჰერმეტულად დაცული მინის ჭურჭელი. **11**. XX საუკუნეში მოღვაწე ფრანგი რელიგიური ფილოსოფოსი. **12**. როგორი შეიძლება იყოს უპასუხო კითხვა? **13**. მამლის მშვენება. **14**. ადგილი, სადაც იესო დაიბადა. **15**. უმთავრესად მცენარეული წარმოშობის ტუტისებური ორგანული ნივთიერება. **16**. ეს სპორტსმენი იგივეა ბეისბოლში, რაც ფეხბურთში პელე, მას ერნესტ ჰემინგუეისეული მოხუცი ეთაყვანება „მოხუცი და ზღვაში“ და მან ელიზაბეტ ტეილორის ქმრობაც კი მოასწრო... აქ მისი გვარი ჩაწერეთ. **20**. ქორწილის ერთ-ერთი პერსონაჟი. **21**. 979 წელს ბიზანტიაში აჯანყებული ვინმე „ბარდა“, რომლის აჯანყებაც თორნიკე ერისთავმა ჩაახშო. **25**. უსაქმური „კომპიუტერშჩიკების“ გლობალური ქსელი. **26**. როგორ შეიძლება იცნობდე ადამიანს? **27**. რაიმეს მაძიებელთა საზოგადო სახელი. **31**. რუსი „კომპიუტერშჩიკის“, ვინმე პაჟიტნოვის ქმნილება. **32**. უამური სუნის მქონე მცენარე. **33**. ჩვენს უნივერსიტეტში თუ სწავლობ ჯერ ბაკალავრი ხარ, მერე მაგისტრანტი.. ვინ იქნები მერე თუ სწავლას გააგრძელებ? **38**. ინგლისის პოეტური სახელი. **39**. 80-იან წლებში მოთამაშე რუსი ჩოგბურთელი ქალი. **40**. როგორ გამოითქმის „ცისფერი“ იტალიურად? გსმენიათ ბატონო, ნამდვილად გსმენიათ. **41**. ცხენებიანი მრავალადგილიანი კარეტა. **46**. რა ჰქვია ბილიარდში წითელ ბურთს? **47**. ორატორისათვის განკუთვნილი სივრცე. **48**. ტვინში სისხლის ჩაქცევა მეცნიერულად. **49**. სასულიერო პირის დანიშვნა ეპისკოპოსად და მისთვის საეკლესიო მიწის გადაცემა. **54**. ერთგვარი ლამაზი სიტყვა, რომელსაც ძირითადად ადამიანზე ზემოქმედების მიზნით ამბობენ. **55**. თანამედროვე ჰოლივუდელი კინორეჟისორი, ემირ.... **56**. სოფელი თიანეთის რაიონში. **61**. უილიამ შექსპირის რომაულ თემატიკაზე შექმნილი ტრაგედია. **62**. ჩვენს საუკუნეში მოღვაწე ავსტრო-ამერიკელი ექიმი და ფსიქოლოგი, ვილჰელმ.... **63**. დიდი ამერიკელი მხატვარი და გამომგონებელი. **64**. ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ამერიკელი კინორეჟისორი, ფრანკ.... **69**. ამერიკელი ასტრონავტი, რომელმაც უკანასკნელმა დაადგა ფეხი მთვარის ზედაპირს ადამიანებს შორის. **70**. ქალის ლამაზი თვალების ერთ-ერთი მეტაფორა-ხილი. **71**. ოფიცრის ან გენერლის საპარადო სამხრე. **72**. გერმანელი კომპოზიტორის კარლ მარია ფონ ვებერის ოპერა. **76**. ტიპიური კახური საჭმელი. **77**. საოჯახო ნივთი, რომლის სახელსაც ახალბედა „კომპიუტერშჩიკებს“ ეძახიან. **78**. ყველაზე ცნობილი მახვილგონიერი იდალგოს ცხენი. **83**. ვახუშტი ბატონიშვილის ნაწარმოები. **84**. ყველაზე უფროსი ფორსაიტის სახელი ჯონ გოლზუორთის „ფორსაიტების საგაში“. **85**. ერთგვარი შემოწმება. **86**. ეს ქალაქი „თეთრს“ ნიშნავს სომხურად, მაგრამ მისმა „სისპეტაკემ“ ის დამანგრეველი მიწისძვრისაგან ვერ იხსნა. **92**. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში. **93**. ერთგვარი სურნელოვანი მცენარე. **94**. თანამედროვე რუსი მსახიობი, იგორ.... **95**. ერთგვარი უხამსი და შეუფერებელი, ანუ როგორი? **100**. 87-ე ნომერი ქიმიური ელემენტი მენდელეევის პერიოდულ სისტემაში. **101**. სამხატვრო გამოფენის დახურული დათვალიერება. **102**. მამაკაცური ღირსების დაკარგვის პროცესი. **106**. მიქელანჯელო ბუონაროტის მშობლიური ქალაქი. **107**. რა ჰქვია თანამედროვე ჰოლივუდელ კომედიური ჟანრის მსახიობს, ნილსენს? **108**. ალექსანდრე ყაზბეგისეული პერსონაჟი. **109**. არაკეთილგანწყობა ვიღაცის მიმართ. **114**. ძველი რომის საპატიო მოქალაქეების საერთო სახელი. **115**. აცტეკების იმპერიის ბოლო იმპერატორი. **116**. ყველაზე ცნობილი ებრაელი კინორეჟისორი. **117**. თენგიზ აბულაძის კინოფილმი. **121**. ერთგვარი მცენარეული ცხიმი. **122**. რა ერქვა რანევსკაიას? **123**. კენგურუს პრივილეგია იხვნისკარტასთან შედარებით. **129**. „ანა კარენინას“, „ომი და მშვიდობის“, „აღდგომის“ და სხვა ნაწარმოებების საერთო სახელი. **130**. სახელწოდება ციხისა, რომელიც სპეციალურად რუდოლფ ჰესისათვის ააშენეს ნიურნბერგის პროცესის დასრულების შემდეგ. **131**. რა უნდა განაცხადო კუთვნებულის არ მოკუთვნებისას. **132**. დიდი მონასტრის წინამძღვარი. **137**. სპეციალური სამსახურეობრივი სამოსის სახესხვაობა. **138**. სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის ლიტერატურული მამა. **139**. თანამედროვე იტალიელი ფეხბურთელი, ალესანდრო... **143**. მაუგლის ლიტერატურული მამა. **144**. ფრანგი მათემატიკოსი და ფიზიკოსი, ჟოზეფ ლუი... (1736-1813). **145**. ტანისამოსის ნაწილი, რომლის მოხმარების ხელოვნებაზეც ონორე დე ბალზაკმა დიდი წიგნი დაწერა. **146**. ძირითადად მძაფრსიუჟეტიან დეტექტიურ ფილმებში მოთამაშე ჰოლივუდელი მსახიობი, ჩარლზ... **151**. არზაყან ზვამბაიას ცხენი. **152**. თანამედროვე ქართველი კომპოზიტორი და დირიჟორი **153**. ირან-სომხეთის სასაზღვრო ქალაქი. **154**. პერსონაჟი პიესისა „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“. **158**. იგივეა, რაც იხტიბარი. **159**. მალამოზე დასადები რამ. **160**. როგორ არის ქართულად ინგლისური „**Our**“?.

**შეადგინა ვახო ელერდაშვილმა**



# ფანტაზიორი

რუბრიკას უძღვება
ვახტანგ ელერდაშვილი
(პასუხები მე-14 გვერდზე)

(პასუხები მე-14 გვერდზე)

**კითხვა №1**

სულ ცოტა ხნის წინ მაიამიში გარდაიცვალა ედვარდ დეჰარტი, ავტორი ფრაზისა, რომელიც ყველა თქვენთაგანმა ზეპირად იცის. იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში მოითხოვდა, რომ თითოეულ სავაჭრო პროდუქტზე გაეკეთებინათ სია იმ ინდგრედიენტებისა, რისგანაც შედგება კონკრეტული ნაწარმი, შესაძლოა სწორედ ამიტომ, 1962 წელს, მან მოათავსა ხსენებული ფრაზა მის მიერ წარმოებულ საქონელზე, რის შემდეგაც მას სხვებმაც მიბაძეს.

**რა ფრაზა ეკუთვნის ედვარდ დეჰარტს? (8 ქულა)**

**კითხვა №2**

წიგნში ეს უცნაური ამერიკელები", თანამედროვე მწერალსა და ჟურნალისტს, სტეფანი ფოლს, მოტანილი აქვს შემდეგი სიტყვები: „დღესდღეობით თითქმის ყველა ამერიკელ მშობელს პანიკურად ეშინია სამი რამის... 1) რომ მისი შვილი გაიზრდება ბანდიტი. 2) რომ მისი შვილი გაიზრდება პორნოვარსკვლავი და, რაც არ უნდა საკვირველიც არ იყოს 3) რომ მისი შვილი გაიზრდება....

**ვინ? (6 ქულა)**

**კითხვა №3**

ქართველ მწერალს, რეზო ჭეიშვილს დაწერილი აქვს საკმაოდ ცნობილი რომანი „ქალაქში დინოზავრები დადიან"...

**რომელი ცნობილი ქართული ფილმი წარმოადგენს ამ რომანის ეკრანიზაციას? (4 ქულა)**

**კითხვა №4**

ალბერტ აინშტაინი ამბობდა: „ის გაცილებით ძლიერია ჩემზე და სასაცილო დონკიხოტობა იქნებოდა, რომ როსინანტზე ამხედრებულს ის ხმლით დამეცვა"...

**რა ჰქონდა მხედველობაში ალბერტ აინშტაინს? (10 ქულა)**

**კითხვა №5**

რომ შევაერთოთ კაცი და ცხენი, მივიღებთ კენტავრს, რომ შევაერთოთ ჩიტი და ცხენი მივიღებთ...

**რას? (8 ქულა)**

**კითხვა №6**

ამ ადგილას მთელი მსოფლიო ისტორიის მანძილზე სულ 12 კაცია ნამყოფი. უკანასკნელი მათგანი იყო იუჯინ ენდრიუ სერნანი...

**ვინ იყო პირველი? (6 ქულა)**

**კითხვა №7**

უკანასკნელ ხანს ამერიკელმა ზოოლოგებმა ჩაატარეს გამოკვლევა, რათა დაედგინათ, თუ რომელი ცხოველი იჩენს ყველაზე დიდ წინდახედულობას გზაზე გადასვლის დროს... პირველ ადგილზე გავიდა ბატი; როგორც გამოკვლევებმა და ცდებმა აჩვენეს, გზაზე გადასვლის დროს ბატი თითქმის არასოდეს ხდება ტრანსპორტის ბორბლების მსხვერპლი. შემდგომი ადგილები ასე განაწილდა: II - ღორი, III - კატა, IV-V - ძაღლი და ქათამი...

**თქვენი აზრით, რომელი ცხოველი გავიდა უკანასკნელ ადგილზე? (5 ქულა)**

**კითხვა №8**

ინგლისის ქალაქ დიუვილში, ადგილობრივი რესტორნის, „მიოკის", კარებზე გაკეთებულია ასეთი განცხადება - „გასულ საუკუნეში ჩვენ ვთხოვდით ჩვენს კლიენტებს ცეცხლსასროლი იარაღი დაეტოვებინათ რესტორნის შესასვლელში მდებარე გარდერობში. დღეს ჩვენ მივმართავთ ჩვენს კლიენტებს, რათა მათ გარდერობში დატოვონ...."

**რა? (9 ქულა)**

**კითხვა №9**

**ვინ შეიძლება იყოს ის ცნობილი თანამედროვე რუსი, რომელიც კომპიუტერული ენციკლოპედიის, „გროლიერის" ანბანზე განწყობილ სტატიებში სულ ბოლო ადგილზე მოხვდა? (6 ქულა)**

**კითხვა №10**

ერთხელ, 10 დღის განმავლობაში სამმა მამაკაცმა და შვიდმა ქალმა შექმნეს ძალზედ ცნობილი რამ...

**მაინც რა? (8 ქულა)**

**კითხვა №11**

ის 1817 წელს შეიქმნა შიტლანდიელი ფიზიკოსის დ. ბრიუსტერის ძალისხმევით. მის სახელი ითარგმნება, როგორც „ლამაზი ხედის ხილვა".

**რა არის ეს? (7 ქულა)**

**კითხვა №12**

XX საუკუნის ფრანგი ლინგვისტისა და სტრუქტურალისტის ჟერარ ჟენეტის აზრით: „ის პლასტიკური მინდორი და გამრუდებული სივრცეა, სადაც დროის ნებისმიერ მომენტში შესაძლებელია ადამიანთა ყველაზე მოულოდნელი ურთიერთობები და ყველაზე პარადოქსალური შეხვედრები..."

**რა იგულისხმება? (11 ქულა)**

## საკროსვორდო რეკორდები

...გაზეთ „თაიმსის" კროსვორდის მთლიან ამოსახსნას „ბი-ბი-სის" მიერ ჩატარებულ დიდი ბრიტანეთის საკროსვორდო ჩემპიონატში 43 წლის როინ დინმა მინიმალური დრო - 3 წთ და 45 წამი - მოანდომა.

...1966 წლის მაისში ლონდონის „თაიმსის" რედაქციაში მივიდა წერილი, რომელსაც ხელს აწერდა კუნძულ ფიჯის მკვიდრი ქალბატონი; იგი იტყობინებოდა, რომ მცირე ხნის წინ მან შეძლო „თაიმსის" 1932 წლის 4 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის ბოლომდე ამოხსნა... ასე რომ, კროსვორდის ამოხსნაზე დახარჯული რეკორდული დრო 34 წელს შეადგენს.

...დღესდღეობით ყველაზე დიდი კროსვორდის ავტორობა ბელგიელ როჟე ბოუკარტს ეკუთვნის. მან გინესების რეკორდების წიგნის რედაქციას წარუდგინა კროსვორდი, რომლის სიგრძე 31 და სიგანე 53 მეტრი გახლდათ. მასდში 50 400 სიტყვა იყო ჩაშიფრული და კითხვები 2734 გვერდზე ეწერა. ავტორი მას ოთხი წლის განმავლობაში ადგენდა.

## ალო ფანტაზია!



**ინტელექტუალთა საზაფხულო ტურნირი მე-6 (ბოლო) ტური გაიმართება 17 ივლისს, *ორშაბათს* 18-დან 20 საათამდე**

***ტურნირის საბოლოო გამარჯვებულს დამატებით გადაეცემა 10 ლარი.***

**დაგვირეკეთ: 79-53-70 ან 8 (77) 45-19-80**

**მეხუთე ტურის პასუხები და შედეგები:**

1. **ნაპოლეონი და ჰიტლერი გულისხმობდნენ ევროპას**. 2. **ედმონდ დანტესი („გრაფი მონტე-კრისტო")**. 3. **სიახლე ტუზის ყელის დიამეტრის გაზრდაში მდგომარეობდა**. 4. **...ფონოგრამის თანხლებით მღერის**. ***საპრემიო კითხვა*** **– ძილის წინ სანთლის ჩაქრობისას.**

ტურში მონაწილეობა მიიღო 19-მა მონაწილემ. ოთხივე კითხვა გამოიცნო მხოლოდ ნოდარ გოქაძემ, მან აგრეთვე შეძლო საპრემიო კითხვის გამოცნობაც, ასე რომ, მას ამ ტურში მიეკუთვნა 5 ქულა და 15 ლარი.

*ხუთი ტურის შემდეგ:*

**15 ქულა** - მერაბ წიკლაური (10 ლარი), გია ჯვარშეიშვილი (2 ლარი), ნოდარ გოქაძე (15 ლარი).

**14 ქულა** - ვაჟა პაპუაშვილი (2.00)

**13 ქულა** - ანდრო მჭედლიშვილი (12 ლარი)

**10 ქულა** - გიორგი გვასალია (2.00), ბაჩანა შენგელია, თამრიკო დამენია (2.00)

**9 ქულა** - ვლადიმერ ყაჯრიშვილი (10 ლარი), დიანა საღრიშვილი, ვახტანგ ნანავა (2.00.).

**7 ქულა** - ნათია ჩუბინიძე, დათო ჭილიტაშვილი, თეა კაციტაძე. **6 ქულა** - დავით ბასილაია, გიორგი ციბაძე. **5 ქულა** - მზია ღვინიაშვილი. **4 ქულა** - ლევან ჩიგოგიძე, ივანე ბერიანიძე. **3 ქულა** - თორნიკე თოფურიძე. **2 ქულა** - სოფიკო დუნდუა, პაატა თალაკვაძე, **1 ქულა** - ნუკრი მაისურაძე, ლალი პაპიაშვილი, ბესო ჩუბინიძე, თემურ აფციაური.

**მეექვსე ტურის კითხვები**

**კითხვა №1**

***გაიხსენეთ ორი სხვა სახელი საგარმათხასაი, რომელმაც თავისი ქალწულობა 1953 წელს დაკარგა.***

**კითხვა №2**

მოგეხსენებათ, არსებობენ „ახალი რუსები" და „ახალი უკრაინელები"; აქედან გამომდინარე არსებობის უფლება აქვთ „ახალ კაზაკებსაც", თუმცა მათ ენამახვლმა როსტოველებმა უფრო რომანტიული და იუმორისტული ინტერპრეტაცია მოუძებნეს, რაც კონკრეტულ ისტორიულ პირთანაა დაკავშირებული

***როგორ იხსენიებენ როსტოველები „ახალ კაზაკებს"?***

**კითხვა №3**

პარიზის ოკუპაციისას ფერწერის მოყვარული ერთი გერმანელი ოფიცერი პიკასოს სახელოსნოში შევიდა და იხილა რა ახლად დამთავრებული „გერნიკა" შეიცხადა:

- ეს თქვენ გააკეთეთ?

***რა უპასუხა პიკასომ?***

**კითხვა №4**

ამერიკელი ჟურნალისტისა და მწერლის, სტეფანი ფოლის წიგნში „ეს უცნაური ამერიკელები" ავტორი ამბობს... „ამერიკაში პოპულარულია 4 ძირითადი სპორტი - ამერიკული ფეხბურთი, ბეისბოლი, კალათბურთი და ჰოკეი... ამასთან ამერიკულ ფეხბურთს თამაშობენ გაზაფხულობით, ბეისბოლს - ზაფხულობით, კალათბურთს კი - შემოდგომობით....

***როდის თამაშობენ ჰოკეის?!***

**საპრემიო კითხვა**

ნიცშემ ის ძაღლს შეადარა, რადგან „ის ისეთივე განუყრელი და მომაბეზრებელია, ისეთივე უსინდისო და გამრთობია, როგორც ძაღლი; ის ისევე შეგიძლია გალანძღო და მასზე ცუდი განწყობა გადმოანთხიო, როგორც ძაღლზე..."

ყოველ ჩვენგანს ჰქონია მასთან საქმე, მაგრამ, რა თქმა უნდა, ნიცშესავით ფილოსოფიურად არ მოჰკიდებია მას...

ის მრავალი რელიგიური კონცეფციის საფუძველია და კაცობრიობა დღიდან არსებობისა ებრძვის მას...

***რა არის ეს?***

# აფორიზმების ანთოლოგია



**545**. ჭორი ჩაგრულთა ოპიუმია.

**ერიკა ჯონგი**

**546**. ჭორები ყალბ ფულს ჰგავს; წესიერი ადამიანები მათ თავად არ ამზადებენ... უბრალოდ სხვებს გადასცემენ მათ..

**კლერ ლუისი**

**547**. ჭორიკანა არის ის, ვინც სხვებზე გელაპარაკებათ; პატივმოყვარე არის ის, ვინც საკუთარ თავზე გელაპარაკებათ... დიდებული თანამოსაუბრე კი ის გახლავთ, რომელიც თქვენს შესახებ გებაასებათ.

**ლაიზა კერკი**

**548**. ჭორკანა არის ის ადამიანი, რომელიც გაცნობებთ ყველაფერ იმას, რასაც თავად ეჭვობდით.

**უცნობი ავტორი**

**549**. ჭორი ძველ ანეკდოტს ჰგავს... ყოველთვის გამოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელსაც ის ჯერ არ სმენია.

**უცნობი ავტორი**

**550**. ერთ ფაქტს შეუძლია ყველაზე ლამაზი ჭორის განადგურება.

**უცნობი ავტორი**

**551**. არასოდეს გაიმეორო ჭორი იმ სახით, როგორც გაიგონეთ.

**უცნობი ავტორი**

**552**. ნუ დაატარებ მთელ ქალაქში ჭორებს... საამისოდ ტელეფონი არსებობს.

**იანინა იპოხორსკაია**

**553**. არ შეიძლება გჯეროდეს ყველაფერი ის, რასაც გაიგონებ, მაგრამ მათს გამეორებას არავინ გიშლით.

**უცნობი ავტორი**

**554**. მაჩვენეთ ადამიანი, რომელსაც არასოდეს უჭორავია და მე გაჩვენებთ ადამიანს, რომელსაც სხვისი ამბები საერთოდ არ აინტერესებს.

**ბარბარა უოლტერსი**

**555**. არსებობს ისეთი ბინძური ჭორები, რომელთა მოსმენა უფრო ძნელია, ვიდრე გამეორება.

**ჟაკ დევალი**

**556**. არსებობენ ადამიანები, რომლებიც გაიმეორებენ ნებისმიერ საკითხს, თუკი ეტყვით, რომ ეს ჭორია.

**უცნობი ავტორი**

**557**. ყოველი ჭორის საფუძველში კარგად შემოწმებული უზნეობა დევს.

**ოსკარ უაილდი**

**558**. ჭკვიანმა ადამიანებმა იციან, რომ უნდა დაიჯერო ნახევარი იმისა, რასაც გეუბნებიან; მაგრამ მხოლოდ ძალიან ჭკვიანებმა იციან, თუ რომელი ნახევარი უნდა დაიჯერონ.

**იანინა იპოხორსკაია**

**559**. ინტელიგენტი ქალი არასოდეს იმეორებს ჭორებს; იგი თავად თხზავს მათ.

**იანინა იპოხორსკაია**

**560**. ის, რასაც მის შესახებ ამბობენ, ეგებ ჭორია, მაგრამ არა ტყუილი.

**ვანდა ბლონსკაია**

# ნონოგრამა




# რუსული კროსვორდის მოყვარულთათვის



**ПО ГОРИЗОНТАЛИ: 1.** Начальник Петьки и Анки. **5.** Простейшие начала какой-нибудь науки, дела. **10**. Город в России, Тамбовская область. **11**. Вагон-резервуар для перевозки жидких грузов. **13**. Дитя, ребёнок. **14**. Дело влюблённых. **15**. Поэт-сказитель у народов Средней Азии. **18**. Близкий родственник зайца. **19**. То же, что лицо. **21**. На шее у коня. **22**. "Помощник" бога. **26**. Болезненно-угнетённое состояние. **27**. То, что держится в тайне. **30**. Корм для скота. **31**. Русский актёр с "армянской фамилией". **32**. Крестьянский дом на Руси. **35**. Сосредоточение мыслей или зрения. **36**. "...... ягнят", нашумевший фильм. **37**. Пресноводная рыба. **38**. Легкий открытый экипаж в прошлом.

**ПО ВЕРТИКАЛИ**. **2.** Обьект для приема и обслуживания самолётов. **3**. Имя поэта Мицкевича. **4**. Корабль, на котором совершил полёт Гагарин. **5**. Статус многих молодых людей в летнее время. **6**. Сеть магазинов обуви в Тбилиси и во многих городах мира. **7.** Песчаная пустыня вТуркмении. **8**. Скрипач держит в левой руке. **9**. Комната для умывания и мытья. **12**. Знаменитый русский художник. **16**. Место за окном магазина. **17**. Специалист с высшим техническим образованием. **20**. Легковушка. **23**. "Кавказская ......". **24**. Санкт-Петербург неофициально. **25**. Что такое 8 марта или 9 мая? **26**. Один из самых больших городов мира. **28**. Часть дыхательных путей. **29**. Любитель мяса. **33**. ..... Дэнс. **34**. Единица счета во многих видах спорта.

## *მარტივი ფრაზები ინგლისური ენის შემსწავლელთათვის*

**1. "The great mass of people...will more easily fall victim to a big lie than to a small one."**

***- Adolf Hitler (1889-1945), Mein Kampf, vol. 1, ch. 10 (1925).***

**2. "The broad masses of a population are more amenable to the appeal of rhetoric than to any other force."**

***- Adolf Hitler (1889-1945), Mein Kampf, vol. 1, ch. 3 (1925).***

**3. "The art of leadership...consists in consolidating the attention of the people against a single adversary and taking care that nothing will split up that attention... The leader of genius must have the ability to make different opponents appear as if they belonged to one category."**

***- Adolf Hitler (1889-1945), Mein Kampf, vol. 1, ch. 3 (1925).***

# მალულა



